



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო  
STATE PROCUREMENT AGENCY

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი

სილაბუსი

სახელმწიფო შესყიდვების კურსი

2018 წელი

სასერტიფიკატო ტრენინგ-კურსის სახელწოდება: „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“.

სწავლების პერიოდი: 40 საათი.

ტრენინგის დაწყებისა და დასრულების თარიღი:

ტრენინგი ჩატარდება: ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 სთ.-დან 14:30 სთ.-მდე.

ტრენინგის დაწყებისთანვე მსმენელებს დაურიგდებათ სასწავლო მასალები.

ტრენინგის დასასრულს მოხდება მსმენელთა სერტიფიცირება.

სამუშაო დღის განმავლობაში მოეწყობა ყავის შესვენება.

ტრენინგს აფინანსებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

სწავლების ენა: ქართული

**მიზნობრივი ჯგუფი:** სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული მოსამსახურეებისათვის. ასევე, მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ - ების, ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

**ტრენერები:** ტრენინგს გაუძღვებიან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებით: *კონსტანტინე გუგეშაშვილი, მაია კუხალაიშვილი, გივი გეგელაშვილი, ანა ჭანია, ალექსანდრე ჩხიკვიშვილი, გიორგი ლაცაბიძე, ია შავერდოვი, გიორგი გოგიბერიძე, ხვიჩა ბზიავა, თამარ გორდელაძე, ირაკლი გოლეითიანი, ნოდარ ხერხეულიძე, დავით ჯაიანი.*



მისამართი: თბილისი, 0113  
რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა #8

ტელ.: 577 24 44 28

E-mail: [training.center@spa.ge](mailto:training.center@spa.ge)

[www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

[www.spa.ge](http://www.spa.ge)

#### დამხმარე მასალები და კომპიუტერული ტექნიკა:

- ფლიპჩარტის დაფა (სტენდი) და ქაღალდი;
- ლეპტოპი და პროექტორი;
- მონაწილეთათვის ბლოკნოტები, კალმები;
- მონაწილეთათვის სახელმძღვანელო მასალები - ჰენდბუქები;
- საკანცელარიო ნივთები და სხვ. (ქაღალდის სკოჩი, ფერადი ქაღალდები, წებო, მაკრატელი, სხვადასხვა ფერის მარკერები, ჭიკარტები, ფერადი სტიკერები, სახაზავი და ა.შ.).
- აუდიო დინამიკები;
- მონაწილეთა დასწრების სია;
- ტრენერთა სამუშაო გრაფიკი;
- შეფასების კითხვარი.



## კურსის მიზნები, ამოცანები, შედეგები

- მსმენელები მოისმენენ და პრაქტიკული სავარჯიშოებით გაიღრმავებენ ცოდნას, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით - შესყიდვების დაგეგმვიდან განხორციელებული შესყიდვების ანალიზის (თვითშეფასების) ჩათვლით. ტრენინგ-კურსში წარმოდგენილი იქნება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვების განხორციელების პროცესების მართვის თანამედროვე პრინციპები და მსოფლიო გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით;
- ტრენინგ-კურსში წარმოდგენილი და განხილული იქნება საერთაშორისო სივრცეში აღიარებული უახლესი მიდგომები და პრაქტიკული რჩევები შემსყიდველთათვის; ასევე თანამედროვე გამოცდილება, რომელიც დაეხმარება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მოსამსახურეებს სახელმწიფო შესყიდვების კანონშესაბამის განხორციელებაში, რაც გულისხმობს, სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალედ ხარჯვას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისთვის.
- ტრენინგ-კურსი ითვალისწინებს ორგანიზაციაში შესყიდვებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას, პრობლემების გამომწვევი კონკრეტული მიზეზების გამოვლენას, პრობლემის გადაჭრის გენერირებას, პრინციპების შერჩევას, კონკრეტული ქმედებების დაგეგმვას და ა.შ.

### სწავლების მეთოდები:

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა *თეორიული ცოდნის გადაცემას, მონაწილეთა ჩართულობას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დისკუსია-სემინარის, პრობლემური სიტუაციის ანალიზისა* (“Case-study”) და *საქმიანი თამაშის* (“Brain-Storm”) მეთოდების გამოყენებას, როგორც პრობლემების ეფექტურად და ოპერატიულად გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავების პირობას. შედეგა *ინდივიდუალური, პარტნიორული და ჯგუფური* მუშაობა.

კურსის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობების დანიშნულებაა შესყიდვების რთულ და საპასუხისმგებლო პროცესებზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზისა და ობიექტური შეფასების, გადაწყვეტილებების მომზადება-მიღების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.



### **სწავლების პროცესში მსმენელთა ცოდნის სისტემატიზება მოხდება ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორცაა:**

- სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი მიმოხილვა: სახელმწიფო შესყიდვების არსი და მოქმედების სფერო;
- რელევანტური ნორმატიული აქტები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვა; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, სხვა აქტები და მათი ურთიერთკავშირი სახელმწიფო შესყიდვებთან;
- დღგ-ს ფაქტორი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში;
- შესყიდვის საშუალებების ზოგადი მიმოხილვა;
- სახელმწიფო შესყიდვის სრული პროცესი;
- სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ერთგვაროვნების დადგენის წესი;
- ერთგვაროვნების დადგენა (Common Procurement Vocabulary – CPV კოდები);
- სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა და სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი;
- შესყიდვის დაგეგმვა, ბაზრის კვლევა/სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა, გეგმის რეგისტრაცია - ePLAN მოდულში, მონეტარული ზღვრები, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისობის დადგენა ბიუჯეტთან, შესყიდვების გეგმის კორექტირება;
- გამარტივებული შესყიდვა და ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- შესყიდვები ხელშეკრულებით - ხელშეკრულების პირობები, ცვლილება ხელშეკრულებაში, ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და საავანსო ანგარიშსწორება, საჯარიმო სანქციები;
- შესყიდვები ხელშეკრულების დადების გარეშე - ხელშეკრულების ჩანაცვლება შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით (ინტერნეტ-გამოწერა, წარმომადგენლობითი და სხვა შემთხვევები);
- ანგარიშგება - CMR მოდულის გამოყენება და ანგარიში ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე.
- სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნა, მისი ფუნქციები, მოვალეობები;
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნების განსაზღვრა;
- სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების შედგენა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ცვლილებები, ტენდერის გამოცხადება;
- ტენდერის განსაკუთრებული შემთხვევა, ერთობლივი, ორ ეტაპიანი ტენდერები და ალტერნატიული ტენდერი;
- სატენდერო წინადადების წარდგენა, ვადები, ელექტრონული ვაჭრობა;



- ოქმების/შეტყობინებების შედგენა/სტატუსების მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის წარდგენა;
- შავი და თეთრი სია;
- კონსოლიდირებული ტენდერი;
- კონკურსის მომზადება - საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება, გამოცხადება, შედეგების განხილვა და ხელშეკრულების გაფორმება;
- დავების საბჭო, მისი ფუნქციები, მოვალეობები, განხილვის პროცედურები და გადაწყვეტილებები;
- გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შეთანხმება სააგენტოსთან;
- ახალი შესყიდვის საშუალებები: ტენდერი ვაჭრობის რაუნდების გარეშე და ორეტაპიანი ტენდერი.

### ცოდნის შეფასება:

მსმენელის სერტიფიცირება მოხდება სწავლების წინა (პრე-ტესტი) და სწავლების ბოლოს (პოსტ-ტესტი) ჩატარებული ტესტირების შემდგომ.

გაიცემა სამი კატეგორიის სერტიფიკატი:

- „წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ - 90%-ისა და მეტის დაძლევის შემთხვევაში;
- „კარგად ჩააბარა ტესტირება“ - 60%-დან 90%-მდე დაძლევის შემთხვევაში;
- „დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ - 40%-დან 60%-მდე დაძლევის შემთხვევაში.

სერტიფიკატი არ გაიცემა მსმენელზე, რომელიც შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, დააგროვებს ქულების არაუმეტეს 40%-ისა.

ტრენინგის კურიკულუმი და დღის წესრიგი

დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 1</b>			
10.00-10.30	გაცნობა - მისალმება	45	
10.30 – 12.30	პრეტესტი	120	
12.30-13.15	ყავის შესვენება	45	
13.15 –14.00	სახელმწიფო შესყიდვის ბიზნეს-პროცესი ელექტრონული სისტემის მიმოხილვა/სისტემის შესაძლებლობები და სერვისები	45	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
14.00 –15.30	ელექტრონული სისტემის მიმოხილვა/სისტემის შესაძლებლობები და სერვისები	45 45	ანა ჭანია



დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 2</b>			
10.00 –10.45	სახელმწიფო შესყიდვების არსი და მოქმედების სფერო, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მისი ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები,სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა	45	გიორგი ლაცაბიძე
11.00 – 11.45	სახელმწიფო შესყიდვების არსი და მოქმედების სფერო, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მისი ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები,სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა	45	გიორგი ლაცაბიძე
11.45 –12.30	ყავის შესვენება	45	
12.30 –13.15	შესყიდვის საშუალებები - ზოგადი მიმოხილვა	45	გიორგი ლაცაბიძე





დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 3</b>			
10.00 –10.45	სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ერთგვაროვნების დადგენის წესი	45	მაია კუხალიშვილი
11.00 – 11.45	სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ერთგვაროვნების დადგენის წესი	45	მაია კუხალიშვილი
11.45 –12.30	ყავის შესვენება	45	
12.30 –14.00	გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შეთანხმება სააგენტოსთან	45 45	ირაკლი გოლეტიანი



დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 4</b>			
10.00 –10.45	ტენდერში მონაწილეობა და შერჩევა/შეფასება	45	გიორგი გოგიბერიძე
11.00 – 11.45	ტენდერში მონაწილეობა და შერჩევა/შეფასება	45	გიორგი გოგიბერიძე
11.45 –12.30	ყავის შესვენება	45	
12.30 –13.15	შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი	45	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
13.15 –14.00	შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი	45	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი



დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 5</b>			
10.00 –10.45	გამარტივებული შესყიდვა და ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ	45	მაია კუხალიშვილი
11.00 – 11.45	გამარტივებული შესყიდვა და ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ	45	მაია კუხალიშვილი
11.45 –12.30	ყავის შესვენება	45	
12.30 –13.15	ელექტრონული ტენდერი და მისი სისტემური მიმოხილვა	45	ხვიჩა ბზიავა
13.15 –14.00	ელექტრონული ტენდერი და მისი სისტემური მიმოხილვა	45	ხვიჩა ბზიავა



დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 6</b>			
10.00 –10.45	შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები	45	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
11.00 – 11.45	შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები	45	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
11.45 –12.30	ყავის შესვენება	45	
12.30 –13.15	კონსოლიდირებული ტენდერი	45	გივი გეგელაშვილი
13.15 –14.45	კონსოლიდირებული ტენდერი	90	გივი გეგელაშვილი



დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 7</b>			
10.00 –10.45	კონკურსი	45	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
11.00 – 11.45	კონკურსი	45	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
11.45 –12.30	ყავის შესვენება	45	
12.30 –13.15	სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვა	45	თამარ გორდელაძე
13.15 –14.00	სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვა	45	თამარ გორდელაძე



დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 8</b>			
10.00 –10.45	დავების საბჭო	45	ია შვერდოვი
11.00 – 11.45	დავების საბჭო	45	ია შვერდოვი
11.45 –12.30	ყავის შესვენება	45	
12.30 –14.00	ოქმების/შეტყობინებების შედგენა/სტატუსების მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის წარდგენა	90	კოტე გუგეშაშვილი



დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 9</b>			
10.00 –10.45	შავი და თეთრი სია	45	გიორგი ლაცაბიძე
11.00 – 11.45	შავი და თეთრი სია	45	გიორგი ლაცაბიძე
11.45 –12.30	ყავის შესვენება	45	
12.30 –14.00	ახალი შესყიდვის საშუალებები: ტენდერი ვაჭრობის რაუნდების გარეშე და ორეტაპიანი ტენდერი	90	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
14.00 – 14.45	კონკურსისა და შესყიდვის ახალი საშუალებების სისტემური მიმოხილვა	45	დავით ჯაიანი



დრო	განსახილველი საკითხი	სწავლების ხანგრძლივობა (წთ.)	ტრენერები ჯგუფების მიხედვით
<b>დღე 10</b>			
10.00 –12.00	ტესტირება	120	
12.00 –12.45	ყავის შესვენება	45	
14.00 –14.30	სერთიფიკატების გადაცემა		